

პატივცემულო ბატონებო და ქალბატონებო,

სატელეკომუნიკაციო კომპანია შპს “კავკასიის ციფრული ქსელი” (Caucasus Digital Network LLC) დაარსებულია 1998 წელს, თბილისში, 100% კერძო კაპიტალზე და არის ლიცენზირებული საერთაშორისო სატელეფონო ოპერატორი და ინტერნეტ სერვის პროვაიდერი.

კომპანია ძირითადად მუშაობს სატელეკომუნიკაციო ბაზრის კორპორაციულ სექტორზე და ჩვენი აბონენტები არიან ისეთი მსხვილი ორგანიზაციები, როგორცაა: PrivatBank, Liberty Bank, KorStandard Bank, KFW, Embassies of Israel, Azerbaijan, Sweden, Azerbaijan Airlines, Socar Gas Supply, Wissol Petroleum, Georgian Water & Power, Imedi-L, Aldagi BCI, My Family Clinic, ABC Pharmacia, Georgian University, Smart, Unicard, City Park, Rustaveli Cinema, Primenews, Thomson Reuters და სხვ.

ჩვენი სატელეკომუნიკაციო კვანძები განთავსებულია ქალაქის სატელეფონო ქსელის მთავარ წერტილებში, ბიზნეს ცენტრებსა და საცხოვრებელ კომპლექსებში.

კავკასიის ციფრული ქსელი ფლობს შემდეგ რესურსებს:

- ლიცენზიები ადგილობრივ, საქალაქთაშორისო და საერთაშორისო სატელეფონო მომსახურებაზე, მონაცემთა გადაცემასა და ინტერნეტზე;
- სატელეფონო ნომრები 255 XX XX სატელეფონო ქსელის ორგანიზებისთვის;
- საერთაშორისო სიგნალიზაციის კოდი ISPC საერთაშორისო სატელეფონო ოპერატორებთან დასაკავშირებლად;
- საკუთარი დაშვების ქსელი თბილისში;
- თანალოკაციის წერტილები თბილისის სატელეფონო ქსელის მთავარ კვანძებში;
- ოპტიკურბოჭკოვანი მიერთებები საქართველოს ფიქსირებული და მობილური ქსელის სატელეფონო ოპერატორებთან;
- სატელეკომუნიკაციო სფეროში დიდი გამოცდილების მქონე მაღალკვალიფიციური პერსონალი.

თავის მომხმარებელს კომპანია სთავაზობს სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს – **«CDN Service Pack»**:

- **მაღალსიჩქარული უსადენო არხი** - 10-50 მბიტი/წმ full duplex სააბონენტო მიერთება საშუალებას იძლევა სრულად და საბოლოოდ გადაწყდეს მომხმარებლის მოთხოვნები ინტერნეტის, სატელეფონო მომსახურების და კორპორაციული კავშირის მისაღებად.
- **სწრაფი და მაღალხარისხიანი ინტერნეტი** – ინტერნეტ პაკეტები გარანტირებული სიჩქარით 1-10 მბიტი/წმ და ზემოთ. გარდა გარანტირებული სიჩქარისა მომხმარებელი ღებულობს დამატებით უფასო სიჩქარეს საერთაშორისო არხებში რეზერვის არსებობის შემთხვევაში.
- **ვირტუალური PBX** - იმისათვის რომ აბონენტმა არ გაწიოს ხარჯები ოფისის სატელეფონო სადგურის შექმნა-მომსახურებაზე და ოფისიდან და/ან ოფისში დარეკვისას გამოირიცხოს ხაზების დაკავება, ჩვენი კომპანია გთავაზობთ ვირტუალურ PBX-ს. იგი წარმოადგენს ჩვენი ცენტრალური სატელეფონო სისტემის ნაწილს, ემსახურება ერთ კონკრეტულ აბონენტს და ასრულებს ამ აბონენტის ოფისის სატელეფონო სადგურის ფუნქციებს. ვირტუალური PBX ინსტალაციას, კონფიგურაციას და ტექნიკურ მომსახურებას აწარმოებს ჩვენი კომპანია.

- **მრავალარხიანი ნომერი** - რამდენიმე ერთდროული ზარის განსახორციელებლად როგორც ოფისიდან ასევე ოფისის მიმართულებით. აბონენტს ეხსნება ხაზების დაკავების პრობლემა. ასევე შესაძლებელია მხოლოდ ერთი სატელეფონო ნომრის გამოყენება სავიზიტო ბარათებისათვის, საკონტაქტო და სარეკლამო მასალებისათვის. მრავალარხიანი ნომერი ასევე აუცილებელია ორგანიზაციის საინფორმაციო და საოპერატორო სამსახურებისათვის.

- **კორპორაციული სატელეფონო სისტემა** – აერთიანებს მომხმარებლის ოფისებს ერთიან კორპორაციულ სატელეფონო ქსელში. შიდა ზარები ხორციელდება მოკლე ნომრის აკრეფით და უფასოა მიუხედავად იმისა, თუ სად არის განლაგებული ოფისები, საქართველოს რაიონებში თუ საზღვარგარეთ.

- **Travel Phone**

თუ აბონენტი ხშირად მოგზაურობს საზღვარგარეთ, მას შეუძლია შეიძინოს სატელეფონო ნომერი, დააინსტალიროს იგი თავის ნოუთბუქში ან მცირე ზომის ბოქსში, რომელსაც ჩვეულებრივი ტელეფონი უერთდება და გამოიყენოს თბილისის სატელეფონო ნომერი მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში.

ჩვენი კომპანიის შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ საიტს www.cdn.ge.

მოსარული ვიქნებით თანამშრომლობისა.

შპს “კაგასიის ციფრული ქსელი”
ირ. აბაშიძის №14, 0179 თბილისი, საქართველო
ტელ: 995 32 255 00 55
ფაქსი: 995 32 229 25 66
ელ.ფოსტა: cdn@cdn.ge
ვებ გვერდი: www.cdn.ge